N 6006/09 28/04/2022

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №184 /2022

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს უნივერსალი 7 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ემზარ ილურიძის სახით,** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი"– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის ლუქების **(CPV35121500)** მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4,540 (ოთხი ათას ხუთას ორმოცი) ლარს**.

3.2. დაფინანსების წყაროა-საკუთარი სახსრები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით;
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
4.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 15 მაისის ჩათვლით**.
(მისამართი: ქ.თბილისი მარშალ გელოვანის გამზ#6)
4.4.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად სრული, დადგენილი ხარისხისა და სტანდარტის საქონელი;

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
6.1. მიმწოდებლის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები **ნიკოლოზ მესხი და დავით კარტოზია.**
6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების საქონლის მიწოდებისას.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია
7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით, თავად უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება
8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და/ან სათანადო საგადასახადო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები
9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1**-ში

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების **0.02%** ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.2. ხელშეკრულების **4.4.1.** მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული საქონელის ღირებულების **0.02%** - ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების **10%**-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.4. ხელშეკრულების **8.2.** მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%**-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ **11.1.** და **11.2.** პუნქტის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების **1%**-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან **10 დღის** განმავლობაში.

11.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 ივლისის** ჩათვლით.
14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

დანართი#1

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1	პლასტმასის ლუქი Roto seal (ლურჯი ან წითელი ფერის, ნუმერაციით)	ცალი	10 000	0.40	4,000.00
2	მავთული (შვიდწვერიანი მავთული დაფარული წითელი პოლიეთილენით PVC. ხვია/150 მეტრი)	ცალი	12	45.00	540.00
ს უ ლ					**4,540.00**

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს უნივერსალი 7**
ს. კ. - 205142200 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი - TRESGE22 სახაზინო კოდი : 220101222 ანგარიშის ნომერი: 200122900	ს. კ. -206336213 იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #154 მომსახურე ბანკი : სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი - TBCBGE22 ა/ა:GE37TB7013036020100010 ტელ:599 18 55 88 ელ. ფოსტა:universal.7ltd@gmail.com
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **ემზარ ილურიძე**

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო